**ცვლილებები ძალაშია 27.05.2021-დან.**

**ინტერნეტ-გვერდზე** www.procreditbank.ge **განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:**

**1. „საბანკო მომსახურების პირობები“-ს 16-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 52-55 პუნქტები:**

„52. სავაჭრო/მომსახურების ობიექტის კოდი ან MCC არის ISO 18245 სტანდარტით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობების ჭრილში დადგენილი ოთხნიშნა კოდი.

53. საბანკო პლასტიკური ბარათის შეკვეთისას/გააქტიურებისას დაბლოკილია თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები. რაც ნიშნავს, რომ ბარათის შეკვეთისას/გააქტიურებისას ბანკის მიერ დაბლოკილია თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები როგორიცაა: გაცნობითი სერვისები (MCC 7273), საქველმოქმედო ორგანიზაციები (MCC 8398), ტოტალიზატორები, კაზინო და სათამაშო ბიზნესი და ა.შ. (MCC 7995), საგზაო და ხიდების კვეთის გადასახადი (MCC 4784). ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, ნებისმიერ დროს დაამატოს და/ან შეამციროს მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი. ხოლო, დამატებულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები ასევე იქნება დაბლოკილი.

54. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ბარათზე გააქტიუროს/დაბლოკოს თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდები.

55. თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების შეზღუდვა ემსახურება კლიენტის დაცვას შესაძლო თაღლითობის და/ან სხვა სახის მომეტებული საფრთხეებიდან, ხოლო მისი გააქტიურებით კლიენტი აცხადებს, რომ სრულად აქვს გაცნობიერებული გააქტიურებასთან დაკავშირებული რისკები.“

**2. „საბანკო მომსახურების პირობები“-ს 16-ე მუხლის 46 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ი“ ქვე-პუნქტი:**

ი) თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდების დაშვება/დაბლოკვა